



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თბილისის ბარაფხანაში მოჭრილი ანონიმური მონეტები

თბილისის ბარაფხანაში მოჭრილი ანონიმური მონეტები, თბილისის ბარაფხანაში სხვადასხვა დროს ჭრიდნენ ვერცხლისა და სპილენძის უსახელო მონეტებს. პირველი ასეთი მონეტა, რ-ის ლეგენდაში ბარაფხანის სახელი აღნიშნული არ არის, VI ს. დასასრულს მიეკუთვნება. ესაა სასანური ტიპის ვერცხლის მონეტა, რ-ის ქართ. წარმომავლობას მიგვანიშნებს მონეტაზე ჯვრის გამოსახულება. შემდგომ წლებში თბილისში მოჭრილ უსახელო მონეტებზე ყოველთვისაა მითითებული ბარაფხანის სახელი. ასეთია ომაიანთა დროის არაბ. დირჰემი, დათარიღებული ჰიჯრით 85 (704), და აბასიანთა დროის არაბ. დირჰემი, დათარიღებული ჰიჯრით 210 წ. (825). თბილ. ბარაფხანაში ანონიმური მონეტების გამოშვება განახლდა მონღოლთა ბატონობის ხანაში. XIII ს-ში მოჭრეს რამდენიმე ტიპის უსახელო ვერცხლის მონეტა [ჰიჯრით 637 (1239/40), 642 (1244/45), 643 (1245/46), 660-678 (1261/62-1279/80)]. ამ მონეტების თავისებურება არის ის, რომ მათზე მოთავსებულ მუსლ. რელიგ. სიმბოლოში არ არის მაჰმადის სახელი. სინქრონულად ჭრიდნენ სპილენძის მონეტებსაც.

XVIII ს-ში აქვე უშვებდნენ ირანული ყაიდის უსახელო მონეტებს, რ-ებზეც სპარსულად არის აღნიშნული თბილ. ბარაფხანის სახელი და მოჭრის დრო. ჰიჯრით 1160- 1213 (1752/53-1798/99) თბილ. ბარაფხანაში ჭრიდნენ სხვადასხვა ნომინალის ვერცხლის მონეტებს, რ-ებზეც სპარსულადაა დაწერილი მოჭრის ადგილი და დრო. ამ მონეტებს სირმა ვერცხლს ან სირმა აბაზიანსაც უწოდებენ.

1804-33 თბილ. ბარაფხანაში იჭრებოდა ანონიმური მონეტებიც, რ-ებზეც ქართულად წერია მოჭრის ადგილი და დრო, ხოლო რუსულად მომჭრელის ინიციალებია ამოკვეთილი.

ლიტ.: დუნდუა გ., ჯალაღანია ი., ქართული ნუმბმატიკური ლექსიკონი,
თბ., 2009.

გ. დუნდუა
